



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N 6**

ქ. ლანჩხუთი

20. 06. 2017 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ წევრი ელისო ჭიჭინაძე( ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სარგებლობს ხმის უფლებით). საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი მ. კუნჭულია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/*

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

#### 6. სხვადასხვა:

**დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხის მომხსენებლები :** გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, მაგული კუნჭულია და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე საპატიო მიზეზით ბიუროს სხდომას არ ესწრებოდნენ. აქედან გამომდინარე, პირველი საკითხი სხდომას წარუდგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ, ხოლო მეორე საკითხი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ტაბიძემ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 27 ივნისი, 11 საათი.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ. მან აღნიშნა, რომ ამა წლის 1 ივლისიდან ძალაში შედის ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ძალიან ბევრ ფუნდამენტალურ ცვლილებებს ითვალისწინებს საჯარო სამსახურში. ერთ-ერთი მთავარი რაც ამ ეტაპისათვის ხორციელდება თანამშრომელთა სტატუსის რანგირებაა. მისი განმარტებით რანგირება შეეხება თანამდებობრივ სახელწოდებებს და ამ ეტაპზე სახელფასო ცვლილებები არ ხორციელდება. საფინანსო თვალსაზრისით თანამშრომლები რჩება იგივე ხელფასის

ოდენობაზე და და მათი ხელფასის რაოდენობა არ იცვლება. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი მიხედვით გამოიყო თანამშრომელთა ოთხი რანგი.

-პირველი რანგი ეს არის სამსახურის უფროსი და მას პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ქვია.

-მეორე რანგია განყოფილების უფროსი და მას მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეწოდა.

-მესამე რანგში არის მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი და სპეციალისტი.

124 საშტატო ერთეული 80 საშტატო ერთეულამდე შემცირდა. 80 საშტატო ერთეულში 77 თანამშრომელი არის საჯარო მოხელე ხოლო 3 არის ხელმძღვანელი პირი. შტატებიდან შტატგარეშედ გაყვანილი იქნა 47 თანამშრომელი. ესენია: ტექნიკური პერსონალი, სამი მძღოლი, მდივანი, გამგებლის ორი თანაშემწე, დამხმარე მოსამსახურე, 16 გამგებლის წარმომადგენელი და სოფლის 24 სპეციალისტი. მისი განმარტებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონმა განსაზღვრა პროფესიული საჯარო მოხელე ვინ შეიძლება იყოს და ვინ შტატგარეშედ დასაქმებული პირი. პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსს ღებულობენ ის საჯარო მოხელეები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის უვადოთ დასაქმებული საჯარო მოხელე. ამიტომ ასეთი მოხელის სამსახურიდან განთავისუფლება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს ეს არის თანამშრომელი, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის არამუდმივ ამოცანებს ასრულებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შედის ასევე საკლასო ჩინი. ეს არის შეფასების სისტემა, რომელიც წელიწადში ერთხელ წლის ბოლოს ტარდება. მისი განმარტებით ეს საკმაოდ რთული პროცედურაა. სამსახურის უფროსი აფასებს განყოფილების უფროსებს, ხოლო განყოფილების უფროსი აფასებს თავის თანამშრომელს. შეფასების ოთხი დონე არსებობს. თუ ხელმძღვანელი და თანამშრომელი ვერ შეთანხმდება შეფასებაზე, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტში შექმნილია სპეციალური კომისია, სადაც შეიძლება განხილულ იქნეს ეს სადაო საკითხი. თუ საჯარო მოხელე ორჯერ უარყოფით შეფასებას მიიღებს ავტომატურად იწერება ბრძანება მისი სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის სამი სოფელი, რომელსაც უნდა ჰყავდეს ერთზე მეტი გამგებლის წარმომადგენელი, რაზეც გამგეობის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელენე იმნაძემ განმარტა, რომ გამგებლის წარმომადგენლების შტატების რაოდენობას განსაზღვრავს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს ჩაბარებული აქვთ საჯარო მოხელის გამოცდა. იგი დაინტერესდა რა საჭირო იყო მათთვის კონკურსის გავლა, თუ გამგებლის წარმომადგენლების დანიშვნა მოხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ გამგებლის წარმომადგენლებმა კონკურსი გაიარეს მანამ, ვიდრე პარლამენტი მიიღებდა კანონს „საჯარო სამსახურთან“ დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, თუ პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონი „საჯარო სამსახურთან“ დაკავშირებით როგორი ფორმით იქნებოდა მიღებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, რომ წარმოდგენილი სამტატო ცვლილებები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიწვევს თუ არა რაიმე სახის ცვლილებას.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილი სამტატო ცვლილებები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რაიმე სახის ცვლილებებს ამ ეტაპზე არ გამოიწვევს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ტაბიძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებს დაევალოთ 2017 წლის 1 ივლისამდე შტატების დასახელებებში ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, რომ საკრებულოს აპარატის ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლები, ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსები და გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებიც უშუალოდ ინიშნებიან გამგებლის მიერ რა ვადით იქნებიან დანიშნულნი ამა თუ იმ პოზიციაზე.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ აღმატებულია კანონზე „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსებს ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი თავისი უფლებამოსილების ვადით. მისი თქმით გაუღერდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდეს ცვლილება და გამგეობის სამსახურის უფროსის თანამდებობას მიენიჭოს როგორც პროფესიული საჯარო მოხელის რანგი, რომლის კანდიდატურასაც გამგებელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **კახა ურუშაძე** დაინტერესდა, თუ რამდენად ლოგიკურია გამგეობის სამსახურის უფროსები დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ. მისი მოსაზრებით გამგეობის სამსახურის უფროსები უნდა დანიშნოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, რომლებიც მის მიმართ იქნებიან ანგარიშვალდებულნი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ გამგეობის სამსახურის უფროსები ანგარიშვალდებულნი იქნებიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ აღნიშნული მოსალოდნელი ცვლილების გათვალისწინებით( რომელიც ჯერჯერობით პროექტის სახით არის და საჭიროებს პარლამეტის მიერ დამტკიცებას) მუნიციპალიტეტის გამგებელი თავად შეარჩევს და წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს გამგეობის სამსახურის უფროსების კანდიდატურებს დასამტკიცებლად.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ყველა ახლად არჩეული მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ სამსახურის უფროსების შეცვლა არასწორია, ვინაიდან წლების განმავლობაში მომუშავე სამსახურის უფროსს შეძენილი აქვს ის გამოცდილება და პროფესიონალიზმი, რომლის ესე მარტივად ჩანაცვლება სხვა ახალი კადრით მართებული არ არის.

ბიუროს წევრები მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ სსიპ „საქართველოს

მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული 2017 წლის 31 მარტის N66 ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საკუთრებაში გადმოეცა 2 (ორი) ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა. (თვითმცლელი ნაგავმზიდი - მოცულობით 7 კბ.მ. 4X4, შასის N WDB 972 36210114959, საბალანსო ღირებულებით 235 896,86 ლარი და მე-2 თვითმცლელი ნაგავმზიდი - მოცულობით 13 კბ.მ. 4X4, შასის N NMB 95050112181316, საბალანსო ღირებულებით 237099,48 ლარი. ზემოაღნიშნული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“- სთვის არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მას აღნიშნული ნაგავმზიდები ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“ - სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეორეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის



მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ტაბიძემ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე.

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N 391 დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 24.05.2017 წლის N 3102, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს 29.05.2017 წლის N 09/4774, ლანჩხუთის,

ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის 25.05.2017 წლის N 548 წერილებისა და სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 129.05.2017 წლის N44569, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის 02.06.2017 წლის N46891, 05.06.2017 წლის N47435 სამსახურებრივი ბარათებისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 08.06.2017 წლის N1/1-1278 ბრძანების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 2647 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი, ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატი SOLO PORT 423 (61 ცალი), დამცავი კომბინიზონი (854 ცალი), რესპირატორი (122 ცალი), დამცავი ხელთათმანი (244 წყვილი), დამცავი სათვალე (122 ცალი), ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) (366 ცალი), ორტაქტიანი ძრავის ზეთი (160 ლიტრი). (მიღება-ჩაბარების აქტის და და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 08.06.2017 წლის N1/1-1278 ბრძანების ასლები თან ახლავს) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირთა განვითარების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრ“-ს სამსახურებრივი მოვალეობის განსახორციელებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ნუგზარ ცინცაძეს თხოვნით მიმართა, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაწყებული შეწამვლითი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდებინა ბიუროს წევრებისთვის.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ** განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით შეიწამლა 169 ჰა თხილის პლანტაცია, რომლის შედეგადაც არავინ დაზიანებულა. მისი თქმით, თუ იქნება უსაფრთხოების ყველა ნორმები დაცული, რომელზეც ბევრი განმარტებები გაკეთდა, შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება სრულიად უსაფრთხოა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგარეო-ეკონომიკური კავშირთა განვითარების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-სთვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

#### **სხვადასხვა:**

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გამოყოფილი სამშენებლო მასალები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი სამუშაოების შესასრულებლად. მაგალითისთვის მოიყვანა შემდეგი ფაქტი, თუ სახლის გადახურვას ესაჭიროება 30 კვ/მ გადასახური სამშენებლო საშუალება, რელურად დაზარალებულმა ოჯახმა მიიღო 27 კვ/მ. რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელია.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ იყო ბევრი შემთხვევა, როცა სტიქიის მიყენებული ზიანი ნაკლები იყო და დაზარალებულმა უფრო მეტი სამშენებლო მასალა მოითხოვა ვიდრე რეალობას შეესაბამებოდა, რაც ყოველად დაუშვებელია.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში უხეში დარღვევები ფიქსირდება, დირექტორის მიერ არ ხდება ხელმძღვანელი პირის დანიშვნა და ამ ფონზე შესაბამისი სახელფასო ფონდი იზოგება . რას ხმარდება ეს თანხები გაურკვეველია და ბევრ კითხვით ნიშანს ბადებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მორიგ საკრებულოს სხდომაზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი წარსდგეს საკრებულოს წინაშე და ყველა დასმულ შეკითხვას გასცეს პასუხი.

დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ გასულ წელს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ შეისწავლა ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბიბლიოთეკის მდგომარეობა, რომელიც სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებდა. ამის თაობაზე კომისიამ განცხადებით

მიმართა მუნიციპალიტეტის გამგეობას, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე რეაგირება არ მომხდარა.

მისი თქმით სასიხარულოა, რომ უახლოეს მომავალში ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდება ახალი საბავშვო ბაღი. ძალიან კარგი იქნება, თუ ძველი საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო მასალები გამოყენებული იქნება სოციალურად დაუცველ უსახლკარო რამდენიმე ოჯახისათვის (მიწის ნაკვეთები საკუთრებაში აქვთ) რომლებსაც, ბინის ქირას უხდის სახელმწიფო. მან თხოვნით მიმართა როგორც საკრებულოს, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ხელისუფლებას ამ საშური საქმეს მათი მხრიდან მხარდაჭერა მოჰყვეს.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ზლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები დაჩაგრულ მდგომარეობაში არიან, რადგან მათ უკვე მერამდენი წელია ვერ აუშენეს ახალი საბავშვო ბაღის შენობა.

სოფელი გრიგოლეთში სადაც ზღვის სეზონი დაწყებულია და უამრავი დამსვენებელი ჩამოდის დასუფთავების კუთხით გარკვეული პრობლემებია. მისი თქმით, თუ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხდება გზისპირის, სასაფლაოების, სკვერების, გაზონების მოვლა-დასუფთავება, რატომ არ უნდა ხდებოდეს მსგავსი დასუფთავებითი სამუშაოების შესრულება გრიგოლეთში, რომელსაც უამრავი ტურისტი და ვიზიტორი სტუმრობს. მისი თქმით, დასუფთავებითი სამუშაოების შესრულება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ევალება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის „ლანჩხუთი-სერვის“ . იგი დაინტერესდა, რომ თუ ის ვერ ასრულებს მის მოვალეობის შესრულებას, მაშინ რაღა საჭიროა აღნიშნული სამსახურის ფუნქციონირება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** დაავალა საკრებულოს აპარატს, რომ მორიგი საკრებულოს სხდომაზე მოეწვია ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალუტეტის „ლანჩხუთი-სერვისის“ დირექტორი, რათა პასუხები გასცეს მისი სამსახურის მიმართ დასმულ კითხვებზე.

**ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო